MES 6 21 0000012780

20/01/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 21 დეკემბერს. (21.12.2020)**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“ და სამაგისტრო პროგრამის „გამოყენებითი ბიომეცნიერებები“ ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;

მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითიინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის" დირექტორი;
ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოციირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

ანა გვრიტიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
თამთა ანთიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. *1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი*

- **ნატო ასათიანი** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
- **გრიგოლ სულაბერიძე -** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- **ბელა სარია** - ფაკულტეტების დეკანი
- **თემურ წურწუმია** - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
- **ბორის ზაალიშვილი** - სერვისების განვითარების და კომუნიკაციის სამსახურის ხელმძღვანელი
- **ირინე ბიბილეიშვილი** - საქმისწარმოების და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
- **ბელა კოპალიანი** - კულტურის და მეცნიერების მიმართულების კურატორი
- **ნინელი მელქაძე** - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი
- **ლეილა მეფარიშვილი** - ბუღალტერი
- **რუსეცკი ალექსანდრე** - ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი
- **ნინო დიდბერიძე** - საექთნო საქმის საბაკალავრო საგანმნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში -ექსპერტები):

- ლილი ხეჩუაშვილი
- ეკატერინე ბაკარაძე
- ინგა ბოჭოიძე
- თამთა მურადაშვილი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 16:02 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ - თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაედასტურებინა ჰქონდათ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რადგან ავტორიზაციის საბჭოს სხდომას არ ესწრებოდა დაწესებულების რექტორი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტის რექტორი არქიმანდრიტი ადამი შეხვედრას ვერ ესწრებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ხოლო დაწესებულების მხრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, კანცლერი, იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე, ფაკულტეტების დეკანი, ასევე საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა სიაში მითითებული სხვა წარმომადგენლები. ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სხდომაზე დამსწრეთა სიაში მითითებული იყო უნივერსიტეტის რექტორი და ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საბჭოს სხდომას დაწესებულების რექტორი არ დაესწრებოდა ცენტი ინფორმირებული არ იყო. შესაბამისად, შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ რექტორი შეხვედრას ვერ დაესწრებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოდგენილი არ ჰქონია.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დასვა შეკითხა წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი თუ ჰქონდათ იმ პირებს, რომლებიც იმ ეტაპისათვის ესწრებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს სხდომას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რექტორს ჯანმრთელობის პრობლემა უეცრად შექმნა, მცირე დროის გამო მათ ვერ მოახერხეს შუამდგომლობის დაყენება. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ წარმომადგენლობით უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს სხდომის მსვლელობის პროცესში გადმოაგზავნიდნენ. საბჭოს წევრთა ერთიანი გადაწყვეტილებით, სხდომაზე ნახევარ საათიანი შესვენება გამოცხადდა, იმისათვის რომ დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონოდა დრო მინდობილობის გამოსაგზავნად.

სხდომა განახლდა 16:30 წუთზე.

საბჭოს წევრებმა მიიღეს წერილობითი დოკუმენტი მინდობილობის სახით და სხდომა განახლდა. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ საბჭოს წევრებს წარუდგინა ექსპერტთა ჯგუფი - ლილი ხეჩუაშვილი, ეკატერინე მაკარაძე, ინგა ბოჭოიძე, თამთა მურადაშვილი.

ექსპერტის მითითებით ვიზიტი გაიმართა მიმდინარე წლის 6-7 ოქტომბერს, რომლის მიზანი იყო წინა მონიტორინგის დროს მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ დასკვნის მომზადება. ვიზიტი გაიმართა დისტანციურ რეჟიმში, თუმცა მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ექსპერტები დაწესებულებაში იმყოფებოდნენ. ვიზიტი დღის წესრიგის მიხედვით წარიმართა, ექპერტები იმყოფებოდნენ დაწესებულებაში, სადაც სასწავლო პროცესი ჩვეულებრივ მიმდინარეობდა. წინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის მიხედვით გაცემული იყო 70 რეკომენდაცია, საიდანაც 26 ეკომენდაცია სრულად იქნა შესრულებული. პირველ სტანდარტთან მიმართებით რეკომენდაციები გაცემული არ იყო, შესაბამისად ექსპერტებს ამაზე არ უმსჯელიათ. ექსპერტის მითითებით, 21 რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა და დანარჩენი ჯერ არ იყო შესრულებული. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულება ვითარდებოდა და ნაწილობრივად შესრულებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი თითქმის უკვე სრულად იყო შესრულებული. ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციები ძირითადად მესამე სტანდარტთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავდა, ყველა პროგრამა იყო გადასინჯვის პროცესში და ნაწილობრივ შესრულებული იყო ზუსტად იმიტომ, რომ დოკუმენტურად ყველა დასრულებული და დასაბუთებული არ ყოფილა.

ექსპერტმა ეკატერინე ბაკარაძემ განმარტა, რომ საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით რეკომენტაცია კვლავაც ძალაში დარჩა. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ნარდობის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული იყო ამა წლის 25 ივლისს. ამ

ხელშეკრულებით მენარდეს ვალდებულება ენიჭებოდა, რომ ეს პროცესები დაესრულებინა 2021 წლის პირველ მარტამდე. ვინაირად ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა ოქტომბრის თვეში, ეს პროცესები არ ყოფილა დასრულებული, დოკუმენტური საბუთი არ არსებობდა ამასთან კავშირში, რეკომენდაცია კვლავ ძალაში დარჩა. ასევე, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგთან დაკავშირებული რეკომენდაციებიც ძალაში დარჩა. არსებობდა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტში დანერგილი პროცესები უნდა განხორციელებულიყო, თუმცა პროცესთა შესაბამისი ანგარიშები არ ყოფილა წარმოდგენილი. დოკუმენტების მიხედვით ანგარიშები წლის ბოლომდე უნდა წარმოდგენილიყო, შესაბამისად ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ რეკომენდაცია ძალაში უნდა დარჩენილიყო. მსგავსი შედეგი გამოვლინდა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებთანაც, სადაც გაკეთდა მითითება, რომ რეკომენდაცია არ შესრულებულა. თუმცა, ინტერვიუების დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მონაწილეობა მიღებული ჰქონდათ ინტერნაციონალიზაციის მთელ რიგ პროექტებში, მაგრამ რადგანაც მათი ჩართულობა იყო ფრაგმენტული და არ წარმოადგენდა უნივერსიტეტის პოლიტიკის ნაწილს, რეკომენდაცია ბოლომდე შესრულებულად ვერ ჩაითვალა. უნივერსიტეტს გაფორმებული ჰქონდა ოთხი მემორანდუმი, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე დარგს ფარავდა. ამიტომ ექსპერტებმა უნივერსიტეტს მისცეს შესაძლებლობა, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტად განვითარებულიყვნენ. რეკომენდაციები იყო ასევე ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან მიმართებით, ამასთან დაკავშირებით დაიწერა, რომ რეკომენდაცია ნაწილობრივ იყო შესრულებული. უნივერსიტეტში არსებობდა შეფასების ინსტრუმენტები, მაგრამ არ ყოფილა ზუტად გაწერილი თითოეულ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით ინდივიდუალური შეფასების სისტემა. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ კვლევების შედეგები არ ყოფილა განხორციელებული. დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრების დროს ექპსერტებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ მიმდინარეობდა ამ საკითხებზე მუშაობა, მაგრამ დოკუმენტების არ არსებობის გამო, რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულად ჩაითვალა. მეორე სტანდარტის მესამე ქვესტანდარტთან დაკავშირებით დადგინდა, რომ რეკომენდაციები სრულად იქნა შესრულებული.

ექსპერტმა დაამატა, რომ ის ინფორმაცია, რაც მოითხოვდა დოკუმენტებში ასახვას, მაგალითად, პლაგიატის წესთან დაკავშირებით, დოკუმენტებში ძირითადად ასახული იყო. რეკომენდაციების ის ნაწილი, სადაც მითითებული იყო, თუ რამდენად იცნობდნენ სტუდენტები აღნიშნულ დოკუმენტებს, ისევ ძალაში რჩებოდა.
ექსპერტის განმარტებით, მნიშვნელოვანი სტანდარტი, რომელიც დაწესებულებას უნდა განევითარებინა, ეს იყო მეექვსე სტანდარტი. რეგულაციებთან დაკავშირებული ნაწილი დაწესებულებას ძირითადად გაუმჯობესებული ჰქონდა, რეკომენდაციები ნაწილობრივ შესრულებული იყო, თუმცა სამეცნიერო კვლევითი შეფასების საკითხი გასაუმჯობესებელი რჩებოდა. სარეკრეაციო ზონის მოწყობასთან დაკავშირებითაც, დაწესებულებას გაუმჯობესება ჰქონდა მცირე ფართზე, თუმცა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ცვლილებები იყო განხორციელებული. მაგრამ, მნიშვნელოვანი იყო ლიფტის შესასვლელის ზომების გაუმჯობესების საკითხები, რაზეც დაწესებულებას სამუშაო ჰქონდა.
თამარ ზარანდიამ მიუთითა, რომ დაწესებულებამ ნამდვილად გადადგა ნაბიჯები, რაც ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნით დასტურდებოდა. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ სურვილი საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ აღნიშნულ სტანდარტებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისათვის. მისი თქმით, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სიტუაციის გათვალისწინებით, არაერთი რეკომენდაცია შესრულდა, რაც შესაძლებელი იყო. დაწესებულების წარმომადგენელის მითითებით,

პროგრამების გადაწყობა ახალი სტანდარტის მიხედვით მიმდინარეობდა, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე. პარალელურად, გათვალისწინებული იყო 2021 წლისთვის გასავლელი ავტორიზაციის პროცესიც. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონიტორინგის ყველა ჯგუფის შეფასების პროცესში იყო ჩართული და თუნდაც ის, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა ვერ იყო შეფასებული, კომუნიკაციის გართულებამაც გამოიწვია. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პლაგიატის სისტემა დაწესებულებაში მხოლოდ ერთი წელია რაც მოქმედებდა. სულ შვიდი კურსდამთავრებული ჰყავდათ მიმდინარე წელს. 2010 წლიდან დაწესებულებაში შემოღებული იყო ბაკალავრიატის დასრულება საბაკალავრო ნაშრომებით, ბევრმა სტუდენტმა ვერ შეძლო ნაშრომის შემუშავება, აქედან გამომდინარე დაწესებულებას ჰყავდა ცოტა კურსდამთავრებული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ძველი კურსდამთავრებული და არაბაკალავრი, ამ პროგრამის შესახებ ინფორმირებული ვერ იქნებოდა. ასევე, რეკომენდაციებში მითითებული იყო, რომ ბიბლიოთეკების გაერთიანების კონსორციუმთან ხელშეკრულებას ვადა გასდიოდა დეკამბრის ბოლოს, აღნიშნული ხელშეკრულება ყოველწლიურად იდებოდა მხოლოდ ერთი წლის ვადით, შესაბამისად წლის დამთავრებასთან ერთად 2021 წლის ხელშეკრულება კვლავ განახლდებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამედიცინო სპეციალობების სპეციფიკიდან გამომდინარე, საბაკალავრო პროგრამებზე არჩევითი საგნების დიდი არეალი წარმოდგენილი არ ყოფილა, რადგან სპეციალობიდან გამომდინარე სტუდენტი სურვილის მიხედვით სასწავლო გეგემას ვერ შეადგენდა. იმ გეგმაში რაც იქნებოდა სტუდენტისთვის შეთავაზებული, მათ თავისუფლება ეძლეოდათ არჩევით საგნებში, 15 კრედიტის ფარგლებში. ხოლო სასწავლო ცხრილი, დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პარალელურად, მაქსიმალურად სტუდენტთა ინტერესებზე იქნა მორგებული. დაწესებულება სტუდენტებს მაქსიმალურად უწყობდა ხელს. სტუდენტებმა გაიარეს ტრენინგები და პანდემიის პირობებში ცდილობდნენ ექიმების დახმარებას. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებით და მათი დახმარებით, მაქსიმუმი შეძლო იმ პირობებში, რა პირობებშიც იმყოფებოდნენ.

საბჭოს წევრმა იკითხა, კურსდამთავრებული 7 სტუდენტის ნაშრომიდან ყველამ გაიარა თუ არა პლაგიატის პროგრამა და როგორი იყო შედეგი. დაწესებულების წარმომადგენელმა მიუთითა, რომ შვიდივე ნაწერილი გაიგზავნა შესამოწმებლად, ანტიპლაგიატის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ნებადართული იყო 20-25%.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დასაფასებელი იყო ამ მძიმე პერიოდში დაწესებულების მხრიდან გადადგმული ნაბიჯები, მან მადლობა გადაუხადა ასევე ექსპერტებს. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტუდენტები ვერ ასახელებდნენ დოკუმენტს, სადაც გასაჩივრების წესები იქნებოდა აღწერილი და ამავდროულად აპელაციის არცერთი შემთხვევა არ იყო დაფიქსირებული. მნიშვნელოვანი იყო, რომ სტუდენტებს სცოდნოდათ აპელაციის ფორმალური პროცედურები.

საბჭოს წევრს გაუჩნდა შეკითხვა, რადგანაც იყო სტუდენტების გარკვეული რაოდენობა, რომლებმაც ვერ შეძლეს სწავლის დამთავრება, ხომ არ ფიქრობდნენ დაწესებულების წარმომადგენლები გადაეხედათ სწავლის მეთოდისა და სისტემისათვის. რა მიზეზი იყო იმისა, რომ ამდენმა სტუდენტმა ვერ დაასრულეს სწავლა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდნტები, რომლებმაც ვერ დაასრულეს ძირითადად იყვნენ ისინი, რომლებმაც დამამთავრებელ კურსზე, სხვადასხვა მიზეზის გამო
შეიჩერეს სტუდენტის სტატუსი. საბჭოს წევრმა დააზუსტა, ავტორიზაცია შემდეგ წელს უწევდა თუ არა დაწესებულებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლისგან თანხმობა მიიღო.

ექსპერტმა დააზუსტა, რომ სტუდენტებს, რომლებიც ახლა სწავლობდნენ, არ იყვნენ ინფორმირებულები იმის თაობაზე, რომ სამომავლოდ მოუწევდათ პლაგიატის პროგრამის გავლა. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ ძალიან ბევრი დოკუმენტი მოაწესრიგა და მნიშვნელოვანი იყო ამის შესახებ სტუდენტების ინფორმირებაც. საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა ელექტრონული ბაზა მარტში იქნებოდა თუ არა მზად, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, პიროვნება, რომელთანაც ნარდობის ხელშეკრულება იყო გაფორმებული, შეხვედრას ვერ დაესწრო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მაქსიმალურად ცდილობდნენ სტუდენტები ყოფილიყვნენ მორგებულნი საუნივერსიტეტო სივცრეს. თუნდაც იმიტომ რომ ეს იყო მცირერიცხოვანი უნივერსიტეტი, სტუდენტებს შექმნილი ჰქონდათ საოჯახო გარემო. დაწესებულებამ სტუდენტებს გაუნახევრა სწავლის საფასური, ისინი იხდიდნენ 1200 ლარს, დანარჩენს კი უნივერსიტეტი ფარავდა. პანდემიის პირობებში წლის განმავლობაში თითქმის არცერთ სტუდენტს არ გადაუხდია თანხა, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ცდილობდა, რომ სტუდენტებისთვის ფინანსური პრობლემები შემაფერხებელი არ ყოფილიყო. დაწესებულების წარმომადგენლის მითითებით, ალბათ არ ყოფილა აპელაციასთან დაკავშირებით პრობლემა, უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული იყო ჯგუფი, სადაც ცდილობდნენ სტუდენტებისათვის მოტივაციის ამაღლებას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, სერიოზულად მუშაობდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, თუმცა ჯერ ხელშეკრულებები ბოლომდე გაფორმებული არ ყოფილა. დაწესებულების წარმომადგენელი ასევე იყო ერთ-ერთი ექსპერტი ფონდის, რომელიც 150 ექსპერტს აერთიანებდა. როდესაც სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან აღნიშნულ სამეცნიერო ფონდში შედიოდა პროექტები, ერთი ხმა მასაც ეკუთვნოდა. აღნიშნული უნივერსიტეტი იყო არაერთი საერთაშორისო სიმპოზიუმის წევრი და თანაავტორი. 13 მარტს სტუდენტებთან ერთად, რექტორის მოხსენებაც იყო გაკეთებული ფლორენციაში. დაწესებულების მეორე მიმართულება იყო, რომში ასაპიენსას უნივერსიტეტთან სამეცნიერო მიმართულებით ახალგაზრდული კონფერენცია, ასევე გამოფენა, სამეცნიერო სიმპოზიუმი. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით გაცვლითი პროგრამები უნდა განხორციელებულიყო, თუმცა პანდემიამ ბევრ აქტივობას ხელი შეუშალა. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მათ დისტანციურ რეჟიმში სამი კონფერენცია ჰქონდათ დაგეგმილი.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:22 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:30 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაციების შესრულებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად,
საბჭომ გადაწყვიტა, რომ შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარის, თამარ ზარანდიას განმარტებით, საბჭოს წევრებმა იმსჯელეს მოცემულ საკითხებზე. მისი თქმით ძალიან დასაფასებელი იყო, რომ დაწესებულებამ ამ მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარების მიუხედავად გადადგა მთელი რიგი ნაბიჯები განვითარებისა და გაუმჯობესებისაკენ. პირველი მონიტორინგის დასკვნის შემდეგ სახეზე იყო გაუმჯობესება, ასევე მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის. საბჭომ გაითვალისწინა ისიც, რომ დაწესებულებას ერთ წელში უწევდა ავტორიზაცია, სადაც სრულად შეფასდებოდა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან. აქედან გამომდინარე, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ ავტორიზაციის პირობების შემოწმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 17:33 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ